შეხედულებისამებრ, კლასიფიცირებული აქვს, როგორც რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით; და ბ) მისი საქმიანობა ძირითადად დაკავშირებულია დაზღვევასთან წლიური საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით, რომელიც უშუალოდ წინ უსწრებს 2016 წლის 1 აპრილს, ან მომდევნო წლიური საანგარიშგებო თარიღისთვის. გადაფარვის მიდგომა საწარმოს უფლებას აძლევს მოახდინოს მოგებასა და ზარალს და სხვა სრულ შემოსავალს შორის ისეთი თანხის რეკლასიფიკაცია, რომ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საკუთარი შეხედულებისამებრ კლასიფიცირებულ აქტივებთან დაკავშირებული მოგება ან ზარალი ისეთივე სიდიდის იყოს, რაც მიიღებოდა იმ შემთხვევაში, თუ მზღვეველი საკუთარი შეხედულებისამებრ კლასიფიცირებულ ფინანსურ აქტივებთან მიმართებით ბასს 39-ს გამოიყენებდა. საწარმოს შეუძლია გამოიყენოს დროებით გათავისუფლება ფასს 9-ის გამოყენებისგან 2018 წლის 1 იანვარს, ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. საწარმოს შეუძლია დაიწყოს გადაფარვის მიდგომის გამოყენება როდესაც დაიწყებს ფასს 9-ის პირველად გამოყენებას. 2017 წლის განმავლობაში კომპანიამ შეაფასა არსებული ცვლილებები და მივიდა დასკვნამდე რომ მისი აქტივობები უპირატესად დაკავშირებულია დაზღვევასთან 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობითაც. 2018 წლის განმავლობაში არ მომხდარა ისეთი მნიშვნელოვანი ცვლილებები კომპანიის საქმიანობაში, რომლებიც მოითხოვს ხელახალ გადახედვას. კომპანია გეგმავს ფასს 9-ის გამოყენებისგან დროებით გათავისუფლების მიდგომის გამოყენებას. აქედან გამომდინარე, კომპანია აგრძელებს ბასს 39-ის გამოყენებას მისი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისთვის 2018 წლის 1 იანვარს დაწყებულ წლიურ პერიოდში.

- ფასს 17 - სადაზღვევო ხელშეკრულებების (გამოცემულია 2017 წლის მაისში) სტანდარტი, რომელიც შეცვლის ფასს 4-ს, ძალაში შედის 2021 წლის 1 იანვრიდან ან/და შემდგომ პერიოდებში (ადრეული გამოყენება დაშვებულია მხოლოდ მაშინ როდესაც საწარმო იყენებს ფასს 9-ს და ფასს 15-ს) რომლის თანახმადაც, სადაზღვეო ვალდებულება განისაზღვრება მიმდინარე შესრულების ღირებულებით და წარმოადგენს შედარებით სრულ საზომ და წარმოსადგენ მიდგომას ყველა ტიპის სადაზღვეო გარიგებისთვის. ზემოხსენებული მოთხოვნები შექმნილია იმისათვის, რომ მიღწეულ იქნას სადაზღვეო გარიგებების თანმიმდევრული, პრინციპებზე დაფუძნებული ბუღალტრული აღრიცხვა, რაც ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელს საშუალებას მისცემს შეაფასოს ეფექტი, რომელიც აქვთ სადაზღვეო ხელშეკრულებებს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე, მის ფინანსურ შედეგებზე და ფულად ნაკადებზე. სტანდარტი ასევე მოითხოვს რომ იგივე პრინციპით აღირიცხოს გადაზღვევისა და დისკრეციული მონაწილეობის მახასიათებლებით გაცემული საინვესტიციო ხელშეკრულებები.

4. მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ

	დეკემბერი 31, 2018	დეკემბერი 31, 2017
საბანკო დეპოზიტები დოლარში	4,435	2,558
საბანკო დეპოზიტები ლარში	213	217
სულ	4,648	2,775

მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ წარმოდგენილია მოკლევადიანი

სს „საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია კამარა“
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (თანხა მოცემულია ათას ლარებში)

დეპოზიტების სახით და ერიცხება წლიური 1,5%-დან 10%-მდე 2018 წელს.

5. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	დეკემბერი 31, 2018	დეკემბერი 31, 2017
ფული ბანკში დოლარში	209	110
ფული ბანკში ლარში	61	16
ნადი ფული სალაროში	-	1
სულ	270	127

ISSSG-ის მოთხოვნების შესაბამისად სადაზღვევო კონტრაქტების ვალდებულებების რეზერვაციის 10% უზრუნველყოფილი უნდა იყოს ფულადი ნაკადებით და მათი ეკვივალენტებით, რაც განსაზღვრულია საქართველოს სადაზღვევო სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ.

6. ძირითადი საშუალებები

ძირითად საშუალებებში ცვლილებები წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	ოფისის ინვენტარი	მანქანები	სულ
ნარჩენი ღირებულება			
დეკემბერი 31, 2016	51	19	70
შემოსვლა	6	-	6
დეკემბერი 31, 2017	57	19	76
შემოსვლა	0	-	0
ჩამოწერა	(7)	-	(7)
დეკემბერი 31, 2018	50	19	69
დაგროვილი ცვეთა	-	-	-
დეკემბერი 31, 2016	(17)	(11)	(28)
წლის განმავლობაში დარიცხული ცვეთა	(11)	(4)	(15)
დაგროვილი ცვეთა დეკემბერი 31, 2017	(28)	(15)	(43)
წლის განმავლობაში დარიცხული ცვეთა	(5)	(4)	(9)
დაგროვილი ცვეთა დეკემბერი 31, 2018	(33)	(19)	(52)
წმინდა ღირებულება	-	-	-
დეკემბერი 31, 2017	29	4	33
დეკემბერი 31, 2018	17	0	17

სს „საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია კამარა“
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (თანხა მოცემულია ათას ლარებში)

7. არამატერიალური აქტივები

არამატერიალურ აქტივებში ცვლილებები წარმოდგენილია შემდეგი სახით:

კომპიუტერული პროგრამები

დეკემბერი 31, 2016	73
<i>შესყიდვები</i>	2
დეკემბერი 31, 2017	75
<i>შესყიდვები</i>	-
დეკემბერი 31, 2018	75
დაგროვილი ამორტიზაცია	
დეკემბერი 31, 2016	(6)
<i>ამორტიზაციის ხარჯი</i>	(11)
დაგროვილი ამორტიზაცია დეკემბერი 31, 2017	(17)
<i>ამორტიზაციის ხარჯი</i>	(11)
დაგროვილი ამორტიზაცია დეკემბერი 31, 2018	(28)
წმინდა ღირებულება	
დეკემბერი 31, 2017	58
დეკემბერი 31, 2018	47

8. გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები

2016 წლის 13 მაისს, საქართველოს პარლამენტმა დააკანონა მოგების გადასახადის ახალი („ესტონური“) მოდელი, რაც ძირითადად გულისხმობს მოგების გადასახადით დაბეგვრას მოგების დივიდენდად განაწილების შემთხვევაში (ნაცვლად მოგების დაბეგვრისა გამომუშავების მომენტში). სადაზღვევო კომპანიებისთვის კანონი ძალაში შედის 2023 წლის 1 იანვრიდან. შედეგად, ამ თარიღიდან კომპანიის დასაბეგრი მოგება იქნება გადახდილი დივიდენდების ტოლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და არ იარსებებს დროებითი სხვაობები. გადავადებული საგადასახადო აქტივი გამოწვეულია საგადასახადო ზარალებისგან, რომელთა გამოყენება შესაძლებელია მომდევნო პერიოდში. კომპანიის აქვს დამტკიცებული ბიუჯეტი დაზღვევის ზედამხედველობის სამსახურის მიერ, რომლის მიხედვითაც კომპანია დააგენერირებს იმდენ მოგებას რომ შეძლებს ამ აქტივის გახარჯვას.

	2018	2017
მოგების გადასახადის ანარიცხი	-	27
მოგების გადასახადის ანარიცხი	(230)	-
	(230)	27
	2018	2018
მოგება (ზარალი) დაბეგვრამდე	1,425	(235)
თეორიული მოგების გადასახადი (15%)	214	(35)
დროებითი სხვაობების ეფექტი	16	8
მოგების გადასახადის ხარჯი	230	(27)

სს „საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია კამარა“
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (თანხა მოცემულია ათას ლარებში)

9. მოთხოვნები სადაზღვევო საქმიანობიდან

მოთხოვნები სადაზღვევო საქმიანობიდან წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	დეკემბერი 31, 2018	დეკემბერი 31, 2017
მისაღები სადაზღვევო პრემიები დოლარში	179	9
მისაღები სადაზღვევო პრემიები ლარში	142	4
სხვა მიმდინარე მოთხოვნები	-	1
გაუფასურების რეზერვი	(2)	(1)
სულ	319	13

10. გადასახდელი ვალდებულებები

ვალდებულებები წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	დეკემბერი 31, 2018	დეკემბერი 31, 2017
მისაღები პრინციპალები - დეპონირება	113	216
კრედიტორული დავალიანება ლარში	37	8
გადასახდელი საკომისიო	16	20
სულ	166	244

11. აკვიზიციის გადავადებული ხარჯი

აკვიზიციის გადავადებული ხარჯი:

დეკემბერი 31, 2017	31
გადავადებული ხარჯები	411
ამორტიზაცია	(430)
დეკემბერი 31, 2018	12

12. ვალდებულებები სადაზღვევო საქმიანობიდან

ვალდებულებები სადაზღვევო საქმიანობიდან 2018 და 2017 წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018	2017
გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი	349	159
განცხადებული მაგრამ დაურეგულირებელი	56	32
სულ	405	191

სს „საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია კამარა“
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (თანხა მოცემულია ათას ლარებში)

13. წინასწარ გადახდები

წინასწარ გადახდები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	დეკემბერი 31, 2018	დეკემბერი 31, 2017
მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები	35	31
იჯარის ავანსი	-	11
სულ	35	42

14. გადაზღვევის აქტივები

გადაზღვევის აქტივები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	დეკემბერი 31, 2018	დეკემბერი 31, 2017
გადაზღვევის გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი	-	8
სულ	-	8

15. კაპიტალი

კაპიტალის მინიმალურ ოდენობას ადგენს სარეგულაციო კანონმდებლობა.

სააქციო კაპიტალი შედგება 4,350,000 ჩვეულებრივი აქციისგან. 1 აქციის ნომინალური ღირებულება არის 1 ლარი. აქციონერები წარმოდგენილია ზოგადი ინფორმაციაში. კომპანიას აქვს დამატებითი შენატანი კაპიტალში 6,438 ლარის ოდენობით.

16. მოზიდული პრემია

მოზიდული პრემია წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2018	2017
სავალდებულო დაზღვევის ცენტრი	1,733	-
ავტომობილის დაზღვევა	842	70
გარანტიის დაზღვევა	276	397
ვალდებულების დაზღვევა	29	27
სამოგზაურო დაზღვევა	3	34
ქონების დაზღვევა	2	1
სხვა	-	2
სულ	2,885	531
გადაზღვევის ხარჯები	(8)	(11)
ნეტო პრემია	2,877	520

სს „საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია კამარა“
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (თანხა მოცემულია ათას ლარებში)

17.საპროცენტო შემოსავალი

დეპოზიტებიდან მიღებული საპროცენტო შემოსავალი წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2018	2017
საპროცენტო შემოსავალი გრძელვადიანი დეპოზიტებიდან	85	96
საპროცენტო შემოსავალი მოკლევადიანი დეპოზიტებიდან	11	7
სხვა საპროცენტო შემოსავალი დეპოზიტებიდან	-	5
სულ	96	108

18. რეგრესით მიღებული შემოსავალი

	2018	2017
რეგრესი (გარანტია)	194	49
რეგრესი (სხვა)	-	1
სულ	194	50

19.ცვლილება სადაზღვევო საქმიანობიდან ვალდებულებებში

	2018	2017
განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი	(25)	(31)
სულ	(25)	(31)

20. საკომისიო ხარჯები

კომპანიის საკომისიო ხარჯები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018	2017
ავტომობილის დაზღვევის საკომისიო	351	4
ფინანსური რისკის დაზღვევის საკომისიო	76	102
სამოგზაურო დაზღვევის საკომისიო	1	17
სხვა	2	2
სულ	430	125

სს „საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია კამარა“
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (თანხა მოცემულია ათას ლარებში)

21. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 2017 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018	2017
ხელფასები	494	376
იჯარა	85	85
აუდიტორული მომსახურების ხარჯი	49	36
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	26	28
კომუნიკაციისა და კომუნალური ხარჯები	16	20
საბანკო ხარჯი	6	3
საავტომობილო მომსახურების ხარჯი	3	3
რეკლამის ხარჯი	2	20
ჯარიმები	2	4
კომპიუტერების ხარჯი	2	2
დაცვის ხარჯი	2	2
წარმომადგენლობითი ხარჯი	-	3
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	45	31
სულ	732	613

22. ცვლილება ზარალების რეზერვში

	2018	2017
ვალდებულების დაზღვევის (გარანტიები)	217	37
ავტომობილის კორპუსის დაზღვევის	98	10
მოტოციკლეთის დაზღვევის	27	2
მგზავრისა და მძღოლის დაზღვევის	-	2
სამოგზაურო დაზღვევის	-	2
სულ	342	53

23. სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018	2017
შემოსავალი ჯარიმებიდან	9	1
ძირითადი საშუალებების გადაფასება	-	9
სხვა შემოსავალი ვალდებულების		
აღსრულების დაზღვევიდან	-	5
(გარანტიებიდან)		
სულ	9	15

სს „საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია კამარა“
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (თანხა მოცემულია ათას ლარებში)

24. სხვა ხარჯები

სხვა ხარჯები 2017 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018	2017
საწევროს ხარჯი	303	20
საზედამხედველო საფასური	29	-
აკვიზიციის ხარჯები	19	-
ონლაინ რეგისტრაციის საკომისიო ხარჯი	12	20
სასამართლო და სხვა ხარჯები	9	11
გაუფასურების ხარჯი	2	1
შეფასების საკომისიო ხარჯი	-	2
სულ	374	54

25. გაცვლითი კურსის ეფექტი უცხოურ ვალუტაზე

	2018	2017
ფული ბანკში	129	(49)
დებიტორული დავალიანება	34	(1)
კრედიტორული დავალიანება	(11)	(2)
სულ	152	(52)

ფინანსური რისკის მართვა

კომპანიის საქმიანობა დაკავშირებულია სადაზღვეო საქმიანობასთან. სადაზღვეო საქმიანობის მნიშვნელოვანი ნაწილია რისკის მენეჯმენტი. რისკი მემკვიდრეობითია, მაგრამ შესაძლებელია მისი კონტროლი იდენტიფიცირებით, გაზომვებით და ყოველდღიური მონიტორინგით. კომპანიაში თითოეულ ინდივიდს შეუძლია გამოთვალოს რისკი თავისი პასუხისმგებლობის ფარგლებში. მთავარი რისკი, რაც კომპანიის ოპერაციებთან არის დაკავშირებული ეხება საკრედიტო საქმიანობას, ლიკვიდურობას და ბაზრის ცვლილებებს საპროცენტო განაკვეთთან, ვალუტის კურსთან და კაპიტალის ფასებთან დაკავშირებით. ქვემოთ მოცემულია კომპანიის რისკების მოკლე მიმოხილვა.

26. სადაზღვევო რისკი

სადაზღვევო ზარალის ოდენობის და დადგომის დროის გაურკვევლობას. კომპანიის ძირითადი რისკი ასეთ დროს არის ის, რომ ფაქტიური ზარალის სიდიდე შეიძლება აღემატებოდეს სადაზღვევო ვალდებულებათა შეფასებულ ოდენობას. აღნიშნულზე გავლენას ახდენს ზარალების სიხშირე და მასშტაბი.

კომპანია იყენებს დანაკარგების კოეფიციენტებს, რათა შეაფასოს დაზღვევის რისკი. დანაკარგების კოეფიციენტი გაიანგარიშება წმინდა სადაზღვევო მოთხოვნები გაყოფილი წმინდა სადაზღვევო შემოსავლებზე. კომპანიის დანაკარგების კოეფიციენტი შემდეგნაირად გამოიყურება:

სს „საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია კამარა“
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (თანხა მოცემულია ათას ლარებში)

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
დანაკარგების კოეფიციენტი	13%	16%

27. უცხოური სავალუტო რისკი

უცხოური სავალუტო კურსის რისკი არის რისკი იმისა, რომ ფულადი ნაკადები გაუფასურდება უცხოურ ვალუტაში მიმდინარე ცვლილებებიდან გამომდინარე. კომპანიის ზემოქმედება რისკზე დამოკიდებულია მის საოპერაციო და ფინანსურ ფულად ნაკადებზე. კომპანიის ძირითადი ტრანზაქციები ხორციელდება ლარში. ვალუტაზე ზემოქმედება ხდება კომპანიის ბანკში განთავსებული ფულით, რომელიც დოლარშია, ასევე დოლარში არსებული სესხებით.

ქვემოთ ჩამოთვლილია ის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც იწვევენ სავალუტო რისკს. თანხები კონვერტირებულია ლარში წლის ბოლოს არსებული კურსით:

2018	ლარი	აშშ დოლარი	სულ
ფინანსური აქტივები			
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	213	4,435	4,648
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	61	209	270
მიმდინარე მოთხოვნები სადაზღვევო საქმიანობიდან	142	179	321
დებიტორული დავალიანება	1	6	7
სულ ფინანსური აქტივები	417	4,829	5,246
ფინანსური ვალდებულებები			
ვალდებულებები სადაზღვევო კონტრაქტებიდან	405	-	405
კრედიტორული დავალიანება	(166)	-	(166)
სულ ფინანსური ვალდებულებები	239	-	239
ღია საბალანსო პოზიცია	178	4,829	5,007

ქვემოთ მოცემული ცხრილი განიხილავს კომპანიის მგრძნობელობას ლარის დოლარის 15% და ევროს 20% ზრდასა და კლებასთან მიმართებაში. 15% და 20% წარმოადგენს მენეჯმენტის შეფასებას მოსალოდნელ კურსთა ცვლილებებთან დაკავშირებით. ანალიზი მოიცავს მხოლოდ ნარჩენ უცხოურ ღირებულებაში არსებულ თანხებს და აკორექტირებს მათ 15-20%-იანი ცვლილებების შესაბამისად.

დადებითი რიცხვი გვიჩვენებს ლარის ანგარიშის ზრდას, როცა ლარი მყარდება ნახსენებ ვალუტასთან მიმართებაში.

	აშშ დოლარის გავლენა 2018	
	15%-იანი ზრდა	15%-იანი შემცირება
მოგება/ზარალი	724	(724)

28. ლიკვიდურობის რისკი

ჯგუფი მართავს ლიკვიდურობის რისკს მოსალოდნელი გადახდის ვადების საფუძველზე. საანგარიშგებო თარიღში ყველა ფინანსური ვალდებულება იყო მიმდინარე. ამჟამად ჯგუფი თვლის, რომ გადახდის ყველა ვალდებულებას საკონტრაქტო ვადაში. ამისათვის ჯგუფი ელოდება საკმარის ფულად ნაკადებს საოპერაციო საქმიანობიდან.

29. საბაზრო რისკი

რისკი, რომ საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შეიცვლება ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები სამართლიანი ღირებულების თვალსაზრისით. საანგარიშგებო პერიოდში ეს რისკი კომპანიისთვის არ იყო არსებითი. ფინანსური რისკების მართვის ღონისძიებები ხორციელდება გონივრულად და თანმიმდევრულად, ბაზრის საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად.

30. საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკის კონტროლს კომპანია ახერხებს მხოლოდ კრედიტუნარიან კონტრაგენტებთან ხელშეკრულებების გაფორმებით.

მაქსიმალური საკრედიტო რისკი, რომელიც გამომჟღავნდა შეჯამებულია მოცემულ ცხრილში:

	არც ვადაგადაცილებული, არც გაუფასურებული 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	ვადაგადაცილებული ან ინდივიდუალურად გაუფასურებული 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	სულ 2018 წლის 31 დეკემბრისთვის
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	4,648	-	4,648
მოთხოვნები სადაზღვევო საქმიანობიდან	319	2	321
მისაღები მოთხოვნები	7	-	7
სულ	4,974	2	4,976

31. კაპიტალის რისკის მართვა

კომპანიის კაპიტალის სტრუქტურა შედგება სააქციო კაპიტალის, დაგროვილი გაუფასურების ზარალისა და ვალებისაგან.

მენეჯმენტი აფასებს კომპანიის მოთხოვნებს კაპიტალში, იმისათვის რომ შეინარჩუნოს ეფექტური ზოგადი ფინანსური სტრუქტურა მაშინ, როდესაც თავს არიდებს სესხის საშუალებების მაღალ წილს. ამგვარი შეფასება საშუალებას გვაძლევს ყურადღება მივაქციოთ სუბორდინაციის დონეს კომპანიის სხვადასხვა კლასის ვალზე და შევასწოროთ გადახდილი დივიდენდების, კაპიტალის უკუგების, გამოცემული ახალი აქციების რაოდენობები.

სს „საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია კამარა“
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხა მოცემულია ათას ლარებში)

კომპანიის ოპერაციები უნდა იყოს შესაბამისი ადგილობრივ მარეგულირებელ მოთხოვნებთან, იმ კანონმდებლის გათვალისწინებით, რომელშიც მოქმედებს. ასეთი რეგულაციები არა მხოლოდ ახდენს საქმიანობის მონიტორინგს, არამედ აწესებს გარკვეულ პირობებს, მაგალითად, კაპიტალის ადექვატურობა, იმისათვის რომ მინიმუმამდე დავიყვანოთ გადახდისუნარობა კომპანიის მენეჯმენტმა მისი სადაზღვევო საქმიანობისათვის უნდა შეინარჩუნოს მინიმუმ მოთხოვნილი კაპიტალის რაოდენობა და საკმარისი ლიკვიდური აქტივები ISSSG-ის ინსტრუქციის შესაბამისად. ISSSG-ის რეგულაცია მოითხოვს, რომ სადაზღვევო კომპანიამ შეინარჩუნოს ლიკვიდური აქტივები მინიმუმ გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვის 75%-ის ოდენობით, წმინდა ღირებულება მთლიანი სადაზღვევო მოთხოვნებისა და 100% მისი დანაკარგების რეზერვისა. ლიკვიდურ აქტივებს განეკუთვნება: ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები, მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ, გაცემული სესხები, საინვესტიციო ქონება და სხვა ფინანსური აქტივები, როგორც განმარტებულია ISSSG-ის მიერ. ამგვარი ლიკვიდური აქტივების მინიმალურ მოცულობას ეწოდება „საწესდებო რეზერვი“

კომპანია სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

32. დაკავშირებული მხარეები

კომპანიის დაკავშირებული მხარეები არიან მისი მეწილეები, ძირითადი მენეჯმენტი და სხვა კომპანიები, რომლებსაც კომპანიის მეწილეები ფლობენ. გაყიდვები და შესყიდვები დაკავშირებულ მხარესთან ხორციელდება შესაბამისად, თუმცა 2018 წლის განმავლობაში არ მომხდარა მსგავსი ტრანზაქციები. კომპანიას არ აქვს გაუფასურებული დაკავშირებული მხარეების კრედიტორული დავალიანებები. ეს შეფასება ტარდება ყოველწლიურად და ამოწმებს დაკავშირებული მხარის ფინანსურ პოზიციონირებას და ბაზარს, სადაც ეს მხარე ოპერირებს.

უმაღლესი ხელმძღვანელობის შრომის ანაზღაურება

ხელფასები და სხვა მოკლევადიანი სარგებელი	2018	2017
	107	75

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაკავშირებული მხარის კრედიტორული დავალიანების ბალანსი წარმოადგენს 0 ლარს.

33. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებში აღნიშვნას.



სს „საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია კამარა“
მართველობითი ანგარიშგება
2018 წლის საქმიანობის მიმოხილვა

ყაძარა-ძმვილი მოძაჯლოისთვილ!

მისია

„საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია კამარა“-ს მისიაა, დაეხმაროს ადამიანებს, რათა იგრძნონ თავი დაზღვეულად ყოველდღიურ ცხოვრებაში.

ძირითადი პრინციპები

- ✓ კომპანია უზრუნველყოფს სადაზღვევო მომსახურებას და ჯეროვნად ასრულებს მის მიერ ნაკისრ ვალდებულებებს.
- ✓ კომპანია იყენებს მეთოდებს, რომლებიც გამოიყენება როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო პრაქტიკაში.
- ✓ კომპანია ითვალისწინებს სადაზღვევო ბაზრის კონიუნქტურას და ინტენსიურად მუშაობს ახალი პროდუქტების დანერგვის კუთხით.
- ✓ კომპანია ამყარებს ურთიერთობას მომხმარებლებთან და პარტნიორებთან პატივისცემისა და ნდობის საფუძველზე.
- ✓ კომპანიის კლიენტებისა და პარტნიორების ინტერესების სრულად დაკმაყოფილება.
- ✓ კომპანიის თანამშრომლების პროფესიული ზრდის შესაძლებლობაზე ზრუნვა.

ამოცანები

- ❑ კომპანიის ძირითადი სტრატეგიის განხორციელება სადაზღვევო ბაზრის განვითარებასთან და წარმოქმნილ საკითხებთან თანხვედრა.
- ❑ კომპანიის განვითარება და სადაზღვევო ინსტრუმენტების მაქსიმალური გამოყენება დასახული ამოცანების მისაღწევად.

კომპანიის შესახებ

სს „საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია კამარა“ დაარსდა 2013 წელს 100% -იანი თურქული ინვესტიციით. კომპანია (გარდა სიცოცხლის დაზღვევისა) სთავაზობს მომხმარებელს სადაზღვევო მომსახურების ფართო არჩევანს. კომპანიის მიზანია მაღალი ხარისხის მომსახურებით, მოქნილი პროცედურებისა და თითოეული დაზღვეულის მოთხოვნებზე მორგებული სადაზღვევო პროდუქტების მიწოდებით მაქსიმალური კომფორტი შეუქმნას მომხმარებლებს. მომხმარებელზე ორიენტირება და ინოვაციური მიდგომების გამოძახილია ექსკლუზიური პროდუქტი - მოტოციკლის დაზღვევის პაკეტი, აღნიშნულ პროდუქტს საქართველოს მასშტაბით მხოლოდ **კამარა** სთავაზობს მომხმარებელს.

2016 წელს სს „საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია კამარამ“ ახალი სადაზღვევო პროდუქტი - მოტოციკლის დაზღვევა შეიმუშავა. სიახლის შემოღება პროდუქტის ბაზარზე არარსებობამ და მოთხოვნის ზრდამ განაპირობა. მოკვლევის საფუძველზე დადგინდა, რომ აღნიშნული სადაზღვევო პროდუქტის დანერგვა დროული და საჭირო იყო. შეთავაზების დეტალები აქტიური კონსულტაციების შედეგად დადგინდა, რომელიც ტრანსფორმაციას არსებული მოთხოვნის შესაბამისად განიცდის. მოტოციკლის დაზღვევას ინტერესი და რეზონანსი დასაწყისშივე მოჰყვა. დაინტერესებული პირები სიახლეს პოზიტიურად შეხვდნენ და დღეს მოტოციკლის დაზღვევა „საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია კამარას“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნიშანია.

დროთა განმავლობაში პროდუქტთან დაკავშირებული ინტერესი გაიზარდა, როგორც მომხმარებლის, ისე სერვისის მომწოდებელი კომპანიებისგან. „კამარა“ სეზონის მიხედვით აახლებს მოტოციკლის დაზღვევის შეთავაზებას, ასევე არსებულ და ახალ მომხმარებლებს სხვადასხვა სახის აქციებს და თემატურ საჩუქრებს სთავაზობს.

კომპანიისთვის აქტუალურია კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის (CSR) საკითხების გააქტიურება. კამარა აქტიურადაა ჩართული სხვადასხვა სოციალურ ღონისძიებებში და ყოველთვის მზადაა გამოეხმაუროს ქვეყანაში აქტუალურ ღონისძიებებს.

რას ვსაქმიანობთ

სს „საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია კამარა“ მომხმარებლებს სთავაზობს შემდეგ ძირითად პროდუქტებს:

- ავტომობილის დაზღვევა;
- მოტოციკლის დაზღვევა
- ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა დაზღვევა მესამე პირის წინაშე;
- მძღოლის, მგზავრების ან ეკიპაჟის დაზღვევა უბედური შემთხვევებისაგან;
- ფინანსური რისკების დაზღვევა;
- სამშენებლო რისკების დაზღვევა;
- სახმელეთო გადამზიდველის პასუხისმგებლობის დაზღვევა:
 - საერთაშორისო ექსპედიტორის პასუხისმგებლობის დაზღვევა;
 - კონტეინერების დაზღვევა;
- ტვირტის დაზღვევა
- ქონების დაზღვევა
- პასუხისმგებლობის დაზღვევა:
 - სამოქალაქო (ზოგადი) პასუხისმგებლობის დაზღვევა;
 - პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა;
 - დამქირავებლის პასუხისმგებლობის დაზღვევა;
 - დაცვის სამსახურის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა;
 - აუდიტორთა პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა;
- სამოგზაურო დაზღვევა
 - მოგზაურთა დაზღვევა;
 - საქართველოში მოგზაურთა დაზღვევა.

კომპანიის სხვადასხვა პოლიტიკა

- პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა

დოკუმენტის მიზანია კომპანიის პერსონალური მონაცემების შესახებ საქართველოს კანონისა და საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, საჭირო პროცესების და რეგულაციების დანერგვა და აღწერა. ამ კუთხით თანამშრომელთათვის აუცილებელი შეზღუდვების დაწესება და ასევე, თანამშრომელთა და კომპანიის მომხმარებელთა პერსონალური მონაცემების დაცვა უკანონო და არამიზნობრივი გამოყენებისგან. კომპანიის ხელთარსებული პერსონალურ მონაცემთა კატალოგების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის აპარატის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

- მომხმარებელთა უფლებების დაცვის პოლიტიკა

საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის რეკომენდაციით კომპანიას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს ინსტრუქცია მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ. სადაც დეტალურად და ამომწურავადაა გაწერილი ყველა ის ეტაპი, რომელსაც გაივლის კომპანიის წინაშე გაცხადებული ნებისმიერი სახის პრეტენზია. დოკუმენტში მკაცრადაა რეგლამენტირებული პრეტენზიის დაფიქსირების, შესწავლისა და განხილვის, ასევე პრეტენზიის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების მხარისადმი გაცნობის პროცედურა და ვადები.

- შიდა აუდიტის პოლიტიკა

„დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად კომპანიას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს ასევე შიდა აუდიტის სამსახურის პოლიტიკა. შიდა აუდიტის სამსახურის მიზანია კომპანიის საქმიანობის დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი შეფასება საოპერაციო ეფექტიანობის, რისკების მართვისა და შიდა კონტროლის სისტემების გაუმჯობესების მიზნით. კომპანიის მიზანია შიდა აუდიტის წარმოებით მზღვეველის მიმდინარე საქმიანობის შემოწმება საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობისა და მართებულობის დასადგენად. ამ საქმიანობის ადეკვატურობისა და ეფექტიანობის შეფასება, სამართლებრივი აქტების, შიდა პროცედურების/წესების დაცვის კონტროლი და მართვის შიდა სისტემების შეფასება.

შედეგები

კომპანიის საქმიანობის წარმატებულად წარმართვაში არსებით როლს ასრულებს ადამიანური რესურსი. კომპანია თანამშრომელთა მიერ გაწეული სამუშაოს ადეკვატური ანაზღაურების, ბონუსების გაცემის თუ დივერსიფიკაციის გათვალისწინებით ახდენს შრომის ნაყოფიერების ზრდასა და მოტივაციის ამაღლებას. აღსანიშნავია, რომ კომპანიის დაფუძნებიდან დღემდე არ აღძრულა საქმე შრომით დავებთან დაკავშირებით. კომპანიის ფარგლებში დაუშვებელია კორუფცია და ქრთამის აღება/მიცემა. კომპანია მკაცრად აფასებს ნებისმიერ ქმედებასა და ტრანზაქციას, რომელიც შეიძლება აღქმული იქნეს, როგორც არამართლზომიერი გავლენა კომპანიისკენ მიმართულ გადაწყვეტილებებზე.

2018 წელს კომპანიამ დაასრულა შემოსავლების ზრდის მაჩვენებლებით.

მოზიდული პრემია გაიზარდა 593 707 დან 3 074 482 ლარამდე - 518%-ით

გამომუშავებული ნეტო პრემია 520 377 დან 2 877 518 ლარამდე - 553%-ით


შემოსავალი სადაზღვევო საქმიანობიდან 361 781 დან 2 274 274 ლარამდე - 629%-ით

წელი	2018	2017	% -ზრდა
მოზიდული პრემია	3 074 482	593 707	518%
გამომუშავებული პრემია - ნეტო	2 877 518	520 377	553%
დამდგარი ზარალი - ნეტო	-367 483	-84 332	436%
	2 510 035	436 045	576%
შემოსავალი რეგრესიდან	193 792	50 370	385%
საკომისიო ხარჯი	-429 553	-124 633	345%
შემოსავალი სადაზღვევო საქმიანობიდან	2 274 274	361 781	629%
ადმინისტ. და სხვა საოპერაციო ხარჯი	-1 105 784	-667 510	166%
Loss Ratio	13%	16%	3%
Expense Ratio	38%	128%	90%
Combined Ratio	51%	144%	93%

აგრეთვე, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ზარალიანებისა და კომბინირებული კოეფიციენტის მაჩვენებელი - 3%-ით და 93%-ით შესაბამისად.

კომპანიის სადაზღვევო საქმიანობის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს დამდგარი ვალდებულებების დროულად შესრულება და სადაზღვევო ანაზღაურების დადგენილ ვადაში ანაზღაურება. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში კომპანიაში არ დაფიქსირებულა არცერთი პრეტენზია/სარჩელი კომპანიის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობასთან დაკავშირებით.

კომპანიის ყველა დეპარტამენტის/სამსახურის მონაწილეობითა და ძალისხმევით 2018 წელს მიღწეული იქნა საგრძნობი შედეგი კომპანიის პორტფელის ზრდაში. წარმოგიდგენთ მოზიდული პრემიის გრაფიკს თვეების ჭრილში (ბრუტო).



კორპორაციული მართვა

კომპანიის სტრუქტურა და მმართველობითი რგოლი მაქსიმალურადაა მორგებული ბიზნეს საქმიანობის გამარტივებასა და ეფექტურობაზე. კომპანიის სტრუქტურა შედგება ჰორიზონტალური და ვერტიკალური ხაზით დაკავშირებული ქვედანაყოფებისაგან, რომელთაგან ყველა ექვემდებარება დირექტორებს ან/და ზედამხედველ სტრუქტურულ ერთეულს. სწორედ ეს დანაყოფები არიან პასუხისმგებელი კომპანიის ოპერაციულ საქმიანობაზე.

კომპანიაში ნებისმიერი სამსახურისთვის ცალკეულად ყალიბდება პროცედურული დოკუმენტაცია, რომელიც თავის მხრივ იყოფა თითოეული თანამდებობისთვის მიკუთვნებული ფუნქცია-მოვალეობებისათვის დამახასიათებელი პროცედურების აღწერილობით. სტრუქტურის განსაზღვრასა და ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება უფლება-მოვალეობების ზუსტ გამიჯვნასა და შესაბამის ინსტრუქციებში ასახვას, რათა მოხდეს შესრულებული სამუშაოს სრულად დაფარვა, ისე, რომ ეფექტურად იქნეს გამოყენებული ადამიანური თუ მატერიალური რესურსი.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

კომპანიას, თავისი პოლიტიკის შესაბამისად, ლიკვიდური აქტივების დიდი ნაწილი აქვს განთავსებული უცხოურ ვალუტაში. აქედან გამომდინარე, მისი მგრძნობელობა უცხოური ვალუტის გაცვლით კურსთან მიმართებაში საკმაოდ მაღალია. ღია სავალუტო პოზიცია ასახულია კომპანიის ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში.

უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციასთან ბრძოლის პოლიტიკა

კომპანიის მიზანია დაამკვიდროს უმაღლესი სტანდარტები და გამორიცხოს უკანონო შემოსავლების ლეგალიზების შემთხვევები. ამ მიზნით სს „საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია კამარა“ მოქმედებს დამტკიცებული ინსტრუქციის მიხედვით „მონიტორინგს დაქვემდებარებული გარიგებების თაობაზე ინფორმაციის მიღების, სისტემატიზაციის დამუშავებისა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის გადაცემის შესახებ“. აღნიშნული ინსტრუქცია შემუშავებულია „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის ბრძანების „სადაზღვევო ორგანიზაციებისა და არასახელმწიფო საპენსიო სქემის დამფუძნებლების მიერ ინფორმაციის მიღების, სისტემატიზაციის, დამუშავებისა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის გადაცემის წესის შესახებ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ შემუშავებული დებულებისა და საქართველოს სხვა ნორმატიული აქტების საფუძველზე.

„უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ კანონის შესაბამისად, წინამდებარე ინსტრუქცია არეგულირებს აღნიშნული კანონისა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ნორმატიული აქტებისა და მითითებების შესაბამისად მონიტორინგის სამსახურის ნორმატიული აქტებისა და მითითებების შესაბამისად მონიტორინგს დაქვემდებარებული გარიგებების თაობაზე ინფორმაციის მიღების, სისტემატიზაციის, დამუშავებისა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის გადაცემის წესს, აგრეთვე, ინსტრუქციის შესრულებაზე შიდა კონტროლის განხორციელების წესს.

სამომავლო გეგმები

იმის გათვალისწინებით, რომ მომხმარებლის ინტერესები ყოველწლიურად იცვლება, კომპანია გეგმავს სადაზღვევო პროდუქტების გადახალისებას. წლიური სადღესასწაული კალენდრის მიხედვით მომხმარებლისათვის აქციებისა და წამახალისებელი აქტივობების შეთავაზებას.

კომპანიის ოფიციალური ონლაინ პლატფორმების, მათ შორის ფეისბუქ გვერდის გააქტიურება და მომხმარებლის ინტერაქციაზე ზრუნვა. კომპანია სადაზღვევო პროდუქტების განახლებული შეთავაზების მიწოდებაზე პერიოდულად იზრუნებს. ასევე, რეგულარულად იმუშავებს საკომუნიკაციო საშუალებების განსაზღვრასა და ათვისებაზე, საზოგადოებრივად აქტიალური თემების მხარდაჭერასა და ცნობიერების ამაღლებაზე.

გასული პერიოდის ანალიზი და შედეგებიდან გამომდინარე სამომავლო პერსპექტივების განსაზღვრა. არსებული ერთგული მომხმარებლისთვის კონკურენტუნარიანი შეთავაზების მიწოდება და მათი შენარჩუნება.

აღსანიშნავია კომპანიის გაყიდვების ზრდა მიმდინარე საანგარიშო წლის მდგომარეობის გათვალისწინებით. კომპანია აქტიურად მუშაობს სერვისის დახვეწასა და სააგენტო ქსელის გაფართოვების მიმართულებით.

კომპანია მიზნად ისახავს თანამშრომლებში მოტივაციისა და შრომის ნაყოფიერების გაზრდისთვის მათ წახალისებას სხვადასხვა საშუალებით.

მენეჯმენტი:


გენერალური დირექტორი

11 სექტემბერი, 2019 წ.
თბილისი, საქართველო




ფინანსური დირექტორი

11 სექტემბერი, 2019 წ.
თბილისი, საქართველო

სამომავლო გეგმები

იმის გათვალისწინებით, რომ მომხმარებლის ინტერესები ყოველწლიურად იცვლება, კომპანია გეგმავს სადაზღვევო პროდუქტების გადახალისებას. წლიური სადღესასწაული კალენდრის მიხედვით მომხმარებლისათვის აქციებისა და წამახალისებელი აქტივობების შეთავაზებას.

კომპანიის ოფიციალური ონლაინ პლატფორმების, მათ შორის ფეისბუქ გვერდის გააქტიურება და მომხმარებლის ინტერაქციაზე ზრუნვა. კომპანია სადაზღვევო პროდუქტების განახლებული შეთავაზების მიწოდებაზე პერიოდულად იზრუნებს. ასევე, რეგულარულად იმუშავებს საკომუნიკაციო საშუალებების განსაზღვრასა და ათვისებაზე, საზოგადოებრივად აქტიალური თემების მხარდაჭერასა და ცნობიერების ამაღლებაზე.

გასული პერიოდის ანალიზი და შედეგებიდან გამომდინარე სამომავლო პერსპექტივების განსაზღვრა. არსებული ერთგული მომხმარებლისთვის კონკურენტუნარიანი შეთავაზების მიწოდება და მათი შენარჩუნება.

აღსანიშნავია კომპანიის გაყიდვების ზრდა მიმდინარე საანგარიშო წლის მდგომარეობის გათვალისწინებით. კომპანია აქტიურად მუშაობს სერვისის დახვეწასა და სააგენტო ქსელის გაფართოვების მიმართულებით.

კომპანია მიზნად ისახავს თანამშრომლებში მოტივაციისა და შრომის ნაყოფიერების გაზრდისთვის მათ წახალისებას სხვადასხვა საშუალებით.

მენეჯმენტი:

გენერალური დირექტორი

11 სექტემბერი, 2019 წ.
თბილისი, საქართველო

ფინანსური დირექტორი

11 სექტემბერი, 2019 წ.
თბილისი, საქართველო

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის („კანონი“) მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული მოსაზრება

სააქციო საზოგადოება საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია „კამარას“ აქციონერებს:

ჩვენ ჩავატარეთ სააქციო საზოგადოება საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია „კამარას“ ფინანსური ანგარიშგების აუდიტი 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის და გამოვეცით არამოდიფიცირებული დასკვნა 2019 წლის 28 თებერვალს. აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს 2019 წლის 28 თებერვლის შემდეგ მომხდარი მოვლენების შედეგებს. ჩვენ არ ჩავგიტარებია წლიურ ანგარიშში ასახული იმ მოვლენების აუდიტი, რომლებიც დადგა ჩვენ მიერ აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გაცემული აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

სხვა ინფორმაცია - მმართველობის ანგარიშგება

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია მმართველობის ანგარიშგებაში, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავდა ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელი დასკვნა არ წარმოგვიდგენია მასზე 2019 წლის 28 თებერვალს. მმართველობის ანგარიშგება ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდა ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დასკვნის გამოცემის შემდგომ.

დასკვნა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად თანხვედნილი ფინანსურ ანგარიშგებასთან და არის თუ არა კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობაში, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციიდან გამომდინარე. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის შესახებ ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- ▶ თანხვედნილია 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- ▶ მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციასა და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

მალხაზ უჯმაჯურიძე

შპს „ნექსია თივის“ სახელით

12 სექტემბერი 2019

თბილისი, საქართველო



Closer to you

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის („კანონი“) მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული მოსაზრება

სააქციო საზოგადოება საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია „კამარას“ აქციონერებს:

ჩვენ ჩავატარეთ სააქციო საზოგადოება საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია „კამარას“ ფინანსური ანგარიშგების აუდიტი 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის და გამოვეცით არამოდიფიცირებული დასკვნა 2019 წლის 28 თებერვალს. აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს 2019 წლის 28 თებერვლის შემდეგ მომხდარი მოვლენების შედეგებს. ჩვენ არ ჩავგიტარებთა წლიურ ანგარიშში ასახული იმ მოვლენების აუდიტი, რომლებიც დადგა ჩვენ მიერ აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გაცემული აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

სხვა ინფორმაცია - მმართველობის ანგარიშგება

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია მმართველობის ანგარიშგებაში, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავდა ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელი დასკვნა არ წარმოგვიდგენია მასზე 2019 წლის 28 თებერვალს. მმართველობის ანგარიშგება ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდა ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დასკვნის გამოცემის შემდგომ.

დასკვნა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად თანხვედნილი ფინანსურ ანგარიშგებასთან და არის თუ არა კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობაში, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციიდან გამომდინარე. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის შესახებ ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- ▶ თანხვედნილია 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- ▶ მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციასა და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

მალხაზ უჯმაჯურიძე

შპს „ნექსია თივის“ სახელით

12 სექტემბერი 2019

თბილისი, საქართველო